

საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივი ასპექტები

ანა ჯავაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მათა სულხანიშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ჯავაშვილი

24.06.2019

აბსტრაქტი

საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა კულტურა, რომლითაც მეუღლეები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ადგენდნენ დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც შეეძლოთ განესაზღვათ საკუთარი ქონების ბედი, როგორც ქორწინების ისე განქორწინების ფაქტის დადგომის შემდეგაც. სამართლის პრინციპების განვითარების შემდეგ სამართალმცოდნეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო დონემდე დარეგულირება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. აღნიშნულს ხელი შეუწყო ასევე საბაზრო ეკონომიკისა და კერძო სამართლის განვითარებამაც. საქორწინო კონტრაქტების რეგულირების სფეროს კი წარმოადგეს მეუღლეთა საერთო ქონებრივი უფლებები.

სამაგისტრო ნაშრომში, ყურადღება გამახვილებული იქნება, როგორც ქართულ საკანონმდებლო ნორმებზე საქორწინო კონტრაქტის რეგულაციებთან დაკავშირებით, ასევე უცხოურ ნორმატიულ მასალაზეც. მათ ურთიერთმიმართებასა და განმასხვავებელ ნიშნებზე. ნაშრომში დასმულია საკითხები, რაც პრობლემატურია საკითხთან მიმართებაში, შემოგთავაზებთ მათი გადაწყვეტის გზებსა და შედარებით სამართლებრივ ანალიზს, სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, დაგანახოთ რამდენად მოსახერხებელია მხარეთათვის საქორწინო კონტრაქტების გამოყენების ინსტიტუტი. აღნიშნული დოკუმენტის გამოყენება აადვილებს მეუღლეებს შორის წარმოშობილი დავის დროს იმ ქონებრივი ურთიერთობების მოგვარებას, რაც მომავალში შეიძლება გახდეს სადავო. მათ წინასწარ აქვთ განსაზღვრული დავის შემთხვევაში როგორ განაწილდება საერთო ქონება. ერთგვარ თავდაცვის მექანიზმს წარმოადგენს. ამარტივებს, არ არის დროში გაწელილი და ნაკლებ ხარჯებთანაცაა დაკავშირებული.

ნაშრომში განხილულია ასევე დაშვებები იმის შესახებ თუ რა შეიძლება გაკეთდეს მისი საკანონმდებლო დონის გაუმჯობესებისათვის.

შევეცადეთ ნაშრომში გადმოგვეცა ის ძირითადი ასპექტები, რაც გაკავშირებულია საქორწინო კონტრაქტის წარმოშობასთან, მისი დადების თავისებურებებთან

სუბიექტებისა და ობიექტების განსაზღვრის დროს და რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მისი შეცვლა ან შეწყვეტა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ოჯახი, ქორწინება, საქორწინო კონტრაქტი, მეუღლეები, პირადი და ქონებრივი უფლებები, ორმხრივი შეთანხმება, ნების თავისუფლება, განქორწინება.

abstract

For centuries, the culture was developed by which the spouses formed a document based on mutual agreement that they could determine the fate of their property after marriage and divorce. Following the principles of law, the lawmakers came to the conclusion, that regulation of this issue to the legislative level was one of the key factors. This also contributed to the development of market economy and private law. The field of regulation of marriage contracts was the common property rights of spouses.

In the master's work, attention will be paid to the Georgian legislative norms regarding the regulation of wedding contracts, as well as the foreign normative material, their relationship and distinguishing marks. The work focuses on issues that are problematic for the issue. We will offer you ways of solving and relatively legal analysis in relation to other countries. The purpose of the work is to show how easy is the institute of using marriage contracts for parties. The use of this document facilitates the settlement of property relations during the dispute between spouses, which may be disputed in the future. In case of dispute, they are predetermined in advance how the property will be distributed, it is a kind of defense mechanism, makes it easier, it is not time consuming and less expensive.

The paper also provides assumptions about what can be done to improve its legislative level. We tried to provide you with the main aspects that are connected to the origin of the marriage contract, with its peculiarities when defining subjects and objects and in what case can it be change or terminated.

keywords: Family, marriage, marriage contract, spouses, personal and property rights, bilateral agreement, freedom of the will, divorce.